

2013 წლის 12 მარტს თსუ სააქტო დარბაზის ფოიეში შედგა კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციისა (GCLA) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო ლიტერატურათმცოდნეობითი პრემიების 2012 წლის ნომინანტთა დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალი

გრიგოლ კვიციანიძის სახელობის პრემია გაიგა ორ ნომინაციაში:

საუკეთესო სამეცნიერო მონოგრაფიისათვის პრემია გადაეცა **ირმა რატანს**: „ტექსტი და ქრონოტოპი“, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

საუკეთესო სამეცნიერო სტატიისათვის პრემია მიიღო **მაია ჯალიაშვილმა**: „არტისტული თამაშის ვარიაციები ქართული მოდერნისტული რომანების მიხედვით“, ჟურნალი „სჯანი“, #12, 2011.

გივი გაჩეჩილაძის სახელობის პრემია ნომინაციაში საუკეთესო სამეცნიერო თარგმანი უცხო ენიდან ქართულ ენაზე, გადაეცა **ლევან ბრეგვაძეს**: რომან ინგარდენი - „კონკრეტიზაცია და რეკონსტრუქცია. ძირითადი დებულებები ლიტერატურული ქმნილებისათვის დამახასიათებელი აგებულების თაობაზე“. თარგმანი გერმანულიდან; ჟურნალი „სჯანი“, #12, 2011.

ნომინაციაში - საუკეთესო თარგმანი ქართულიდან უცხო ენაზე, პრემია დაიმსახურეს **ირინა მოდებაძემ და იორდან ლუცკანოვმა**, შუალედურ რუსულ ენაზე და რუსულიდან ბულგარულად შესრულებული თარგმანისათვის: Ирма Ратиани. [В кривото огледало на тоталитаризма: човекът и времето в романа на Михаил Джавахишвили „Ратаите на Джако“](#), „Литературна Мисъл“, 1. 2010. България.

გივი გაჩეჩილაძის სახელობის სპეციალური პრემია ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო თარგმანის დარგში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადაეცა **ზაჩანა ბრეგვაძეს**.

ლონისძიება გაიმართა გამომცემლობა „სიესტას“ და ტელეკომპანია „ერთსულოვნების“ საინფორმაციო მხარდაჭერით.

